თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7143554

ნომერი: AR11048191

თარიღი : 17.07.2024

გაცემის თარიღი : 23.07.2024

გაცნობის თარიღი : 25.07.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კრწანისის შესახვევი N17 ; ქალაქი თბილისი , კრწანისის შესახვევი N17 ; ქალაქი თბილისი , შესახვევი კრწანისი , N 17(ნაკვ.12/59) ; ქალაქი თბილისი , შესახვევი კრწანისი , N 17(ნაკვ.12/60) ; ქალაქი თბილისი , შესახვევი კრწანისი , N 17(ნაკვ.12/61);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ არჩვაძე პ/ნ 62001005662
- სოხუმი კომკავშირის გზატ. N 39

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 15 დეკემბრის №6807676 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 17 ივლისს №AR11048191 განცხადებით მომართა ვახტანგ არჩვაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 15 დეკემბრის №6807676 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 15 დეკემბრის №6807676 ბრძანებით, №01.18.06.012.148 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6828334 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 29 დეკემბრიდან 2026 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 15 დეკემბრის №6807676 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ განმცხადებლის განმარტებით ბრძანებაში არასწორად არის დაფიქსირებული კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი, შესაბამისად სურს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება და საპროექტო შენობის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობად (კ2) 10261.56 კვ.მ-ის ნაცვლად 9154.15 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა შეცვლილი კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი შეადარა შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ 2023 წლის 15 დეკემბრის №6807676 ბრძანებაში დაფიქსირებულ საპროექტო შენობის კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არასწორად იყო ჩათვლილი საპროექტო შენობა-ნაგებობის -1 სართულის (-3.30 ნიშნულზე) იატაკის ზედაპირის 1107.41 კვ.მ. ფართობი. შესაბამისად, შესაძლებელია ბრძანებაში 10261.56 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს - 9154.15 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 15 დეკემბრის №6807676 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 15 დეკემბრის №6807676 ბრძანებაში და “კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში)” გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
კ2=9154.15/4680=2.0
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 15 დეკემბრის №6807676 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 15 დეკემბრის №6807676 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.